




# ხაშურის მოამბე



№6 (87)

13 თებერვალი, ორშაბათი, 2017 წელი



## შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულად - გუბერნატორად კახა სამხარაძე დაინიშნა

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულად - გუბერნატორად კახა სამხარაძე დაინიშნა. კახა სამხარაძე, 2014-2015 წლებში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე იყო. სხვადასხვა დროს, ეკავა საპასუხისმგებლო თანამდებობები - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი/ბაქო-თბილისი-ერზრუმი ნავთობისა და გაზის მილსადენების მშენებლობის პროექტში, ასევე, იყო USAID-ის მიერ დაფინანსებული, ჰუმანიტარული დახმარების პროგრამის მენეჯერი. შიდა ქართლის ახალ გუბერნატორს უმაღლესი განათლება მიღებული აქვს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში. კახა სამხარაძემ იოსებ ოქრომელიძე შეცვალა, რომელიც დღემდე შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის მოვალეობას ასრულებდა.



## საკრებულოს სესია

6 თებერვალს, ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესია. სესიაზე საკრებულოს წევრებმა, ახალი გარემოებებიდან გამომდინარე, ცვლილება შეიტანეს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში. ამავე სესიაზე განიხილეს მთავრობის ახალი რეგულაციები სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებით და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ამ სფეროს ბიზნესს განსხვავებული გადასახადები დააკისრეს. პარალელურად, დამტკიცდა მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულების მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის გეგმა, რაც ითვალისწინებს მთელი წლის მანძილზე გაწერილ ტრენინგებს თუ სხვადასხვა სახის სწავლებებს. როგორც ცნობილია, მუნიციპალიტეტში კონფლიქტის ზონის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლის პედაგოგების ტრანსპორტირებას მთლიანად მუნიციპალიტეტი აფინანსებს. რადგან ამ პედაგოგების მიერ მოსწე-

ლებთან ჩატარებული საათების გრაფიკი შეიცვალა, აუცილებელი გახდა დაფინანსებული გრაფიკის შეცვლაც, რასაც დეპუტატები ერთხმად დაეთანხმნენ. სესიაზე კენჭი ეყარა და მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცა თანხმობა, რომ მოხდეს მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების-სამუსიკო სკოლების-რეორგანიზაციის დაწყება, მათი შერწყმა და ერთიანი სამუსიკო სკოლების გაერთიანების დაფუძნება. ასევე თანხმობა მიეცა გამგებელს, რომ მოხდეს ა(ა)იპ „ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრის“ რეორგანიზაცია და მისი შერწყმა „კულტურის ცენტრების გაერთიანებასთან“.

სესიაზე თანხმობა მიეცა შპს „გრინ ნეთვორქსს“, ინტერნეტ-სერვისის მოწოდების მიზნით, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განათების ბოძების (აღმაშენებლის, სააკადის, ფარნავაზის და თავდადებულის ქუჩები) იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.

## მსოფლიო ბანკმა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა, სახელმწიფო შესყიდვების კუთხით, საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესოდ ცნო.

ამ დღეებში, თბილისში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მსოფლიო ბანკის მისია სტუმრობდა. მისიის შემადგენლობაში მსოფლიო ბანკის ვაშინგტონის სათაო ოფისის ოთხი წამყვანი კონსულტანტი იყო. სემინარს, რომელიც მათი ხელმძღვანელობით წარიმართა, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტები და ბიზნესმენები ესწრებოდნენ. ჩვენს მუნიციპალიტეტს სემინარზე საბიუჯეტო სამსახურის უფროსი მარინა გელაშვილი და შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი მარიამ გოგალაძე წარმომადგენლენ. სემინარზე მსოფლიო ბანკის კონსულტანტებმა წარმოადგინეს საქართველოში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ანალიზი, რომლის მიხედვით ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა ერთ-ერთ საუკეთესოდ ცნეს. როგორც ჩვენთან საუბარში გამგეობის შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსმა მარიამ გოგალაძემ აღნიშნა, განსაკუთრებული ყურადღება, სხვა კრიტერიუმებთან ერთად, მიექცა გამარტივებული ელექტრონული ტენდერების სიმცირეს, რომლის რაოდენობა ჩვენი მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების საერთო მაჩვენებელში მინიმალურია. მთლიანი მონაცემი კი 2016 წელს ასეთია: სულ განხორციელებულია 235 შესყიდვა, რამაც გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით შეადგინა 9 959 658 ლარი. ფაქტობრივად გადახდილმა თანხამ კი - 7 093 476 ლარი. ამ შესყიდვებიდან, გამარტივებული შესყიდვების საშუალებით, ხელშეკრულებები გაფორმებულია 273

510 ლარის შესყიდვაზე, ფაქტობრივად, გადახდილმა თანხამ კი 247 264 ლარი შეადგინა. მსოფლიო ბანკმა ზემოაღნიშნული კვლევის ანალიზი ბრიტანეთის მთავრობის მიერ დაფინანსებული ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში განახორციელა. მართლაც სასიამოვნოა, რომ ისეთი უსერიოზულები ფინანსური ორგანიზაცია, როგორც მსოფლიო ბანკი, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას, შესყიდვების კუთხით, ასეთ მაღალ შეფასებას აძლევს და მის მუშაობას მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოარჩევს.



„ბამოიწერეთ და იპითხეთ „ხაშურის მოამბე“

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №11

2017 წლის 6 თებერვალი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების - სამუსიკო სკოლების რეორგანიზაციის დაწყებაზე და მათი შერწყმის შედეგად ახალი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების - სამუსიკო სკოლების გაერთიანების დაფუძნების თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტში დღემდე ფუნქციონირებს სამი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებები - სამუსიკო სკოლები. განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის 2017 წლის 24 იანვრის №157/09 მოხსენებით ბარათის შესაბამისად, ხარჯების ოპტიმიზაციისა და მართვა/ფუნქციონირების უკეთ განხორციელებისათვის, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა მიზანშეწონილად მიიჩნევს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 144-ე მუხლის შესაბამისად მოხდეს ამ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეორგანიზაცია და მათი შერწყმით (გაერთიანებით) დაფუძნდეს ახალი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების - სამუსიკო სკოლების გაერთიანება. კერძო სამართლის იურიდიული პირის რეორგანიზაციისა და დაფუძნებისათვის საჭიროა საკრებულოს თანხმობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღგენს:

1. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება-ხაშურის სამუსიკო სკოლის (ს/კ 243916170); არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება- სურამის სამუსიკო სკოლის (ს/კ 243916189) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ქვიშხეთის სამუსიკო სკოლის (ს/კ 243916223) რეორგანიზაციის თაობაზე, რაც მიზნად ისახავს ამ პუნქტით გათვალისწინებული სამუსიკო სკოლების შერწყმას და გაერთიანებას და აღნიშნულის შედეგად (რეორგანიზაცია: შერწყმა/გაერთიანება) დააფუძნოს ახალი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების - სამუსიკო სკოლების გაერთიანება (როგორც მათი უფლებამონაცვლე და სამართალმემკვიდრე).

2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;

3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე [www.khashuri.org.ge](http://www.khashuri.org.ge) გამოქვეყნებისთანავე;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №12

2017 წლის 6 თებერვალი, ხაშური

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კულტურის ცენტრების გაერთიანების“ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრის“ რეორგანიზაციის დაწყებაზე და „კულტურის ცენტრების გაერთიანებისთვის“ „ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრის“ შერწყმის (მიერთების) თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტში მოქმედებს ა(ა)იპ „კულტურის ცენტრების გაერთიანება“ ს/კ 243918070) და ა(ა)იპ „ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრი“ (ს/კ 243918123). განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის 2017 წლის 24 იანვრის №157/09 მოხსენებით ბარათის შესაბამისად, ხარჯების ოპტიმიზაციისა და მართვა/ფუნქციონირების უკეთ განხორციელებისათვის, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა მიზანშეწონილად მიიჩნევს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 144-ე მუხლის შესაბამისად მოხდეს ა(ა)იპ „კულტურის ცენტრების გაერთიანებისთვის“ ა(ა)იპ „ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრის“ შერწყმა (მიერთება). შერწყმის (მიერთება) შედეგად (ა)იპ-ის სახელწოდებად განისაზღვროს ა(ა)იპ „კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება“. კერძო სამართლის იურიდიული პირის რეორგანიზაციისათვის საჭიროა

ირთა საკრებულოს თანხმობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღგენს:

1. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების „კულტურის ცენტრების გაერთიანების“ (ს/კ 243918070) და „ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრის“ (ს/კ 243918123) რეორგანიზაციის თაობაზე, რაც მიზნად ისახავს ა(ა)იპ „კულტურის ცენტრების გაერთიანებისთვის“ ა(ა)იპ „ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრის“ შერწყმას (მიერთებას).

2. ა(ა)იპ-ის სახელწოდებად განისაზღვროს „კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება“.

3. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;

4. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე [www.khashuri.org.ge](http://www.khashuri.org.ge) გამოქვეყნებისთანავე;

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №3

2017 წლის 6 თებერვალი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ. ბ“ ქვეპუნქტის, 93-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ მე-3 მუხლის 1-ლი და მე-5 პუნქტის, „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

ბ) თითოეულ სათამაშო აპარატზე - კვარტალში 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით;

გ) თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე - საპრიზო ფონდის 10%;

დ) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე-კვარტალში 6000 (ექვსი ათასი) ლარის ოდენობით;

ე) თითოეული კლუბის მაგიდაზე- კვარტალში 6000(ექვსი ათასი)ლარის ოდენობით;

ვ) სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობაზე - კვარტალში 250 000 ლარის ოდენობით

გ) ლატარიების მოწყობაზე- ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების 20 %

მუხლი 3

დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის №61 დადგენილება.

მუხლი 4

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე

შემოღებულ იქნას ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი.

მუხლი 2

1. განისაზღვროს სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთები სახეობების მიხედვით:

ა) კაზინოს (სამორინე) თითოეულ მაგიდაზე - კვარტალში 20 000 ლარის ოდენობით;

### - საინჟინერო ადამიანები - რკინითმხაფვარი

გია ხერხეულიძეს საკუთარ სახელოსნოში ვესტუმრე, რკინის დიდი ზომის კარზე, ბოლო სამშაოებს ამთავრებდა. დიდი თხოვნის შემდეგ, საუბარზე



დავითანხმე, ეს, რკინასთან მეტროდლი ადამიანი, მარტო რომ ათვინიერებს და იმორჩილებს მტკიცე ფოლადს. აღმოჩნდა, ბუნებით თავმდაბალს, არ უყვარს საკუთარ თავზე საუბარი, თუმცა, მისი, უკვე დასრულებული ნამუშევრები, ხაშურის რესტორნებს, დიდ ობიექტებს რომ ამშვენებენ, თავად საუბრობენ



მისი შემქმნელის ხასიათზეც და პიროვნებაზეც.

–ჩემი რკინასთან ურთიერთობა ბავშვობიდან მოდის, ყველაფერი ინტერესს იწვევდა, რაც რკინას ეხებოდა, 15-16 წლისა უკვე დამოუკიდებლად ვაკეთებდი მცირე ზომის ნაკეთობებს, არც კი მახსოვს, რა ნივთი იყო პირველი, იმდენად მრავალფეროვანი იყო. რაც შეეხება უკვე პროფესიად ქცევას, დაახლოებით 18 წელია ამ საქმიანობას ვწვევ, ჩემი საქმეც და შემოსავლის წყაროც ესაა. ამჟამად მცირე მეწარმე ვარ, შეიძლება არც დამიჯეროთ, მარტო ვმუშაობ, დამხმარების გარეშე, მხოლოდ სიმძიმეების ასაწევად თუ დავისმარ ვინმეს. დღეისათვის, რაც რკინას, მის დამუშავებას, დიზაინს შეეხება, თითქმის ყველაფერს ვაკეთებ, ჭადებს, ჟალუზებს, აივნებს, რკინის დიდი ზომის კარს. დამკვეთთან ერთად ვწვევთ დიზაინს, ხშირ შემთხვევაში, მთლიანად მენდობიან. რადგან მასალა ძვირია, ეს ნაკეთობები არაა ყველასათვის ხელმისაწვდომი, მაგალითად, კარის ფასი 800 ლარიდან იწყება, ძირითადად, მოცულობას და ფიგურების სირთულეს გაანჩია, ფასებიც შესაბამისად განისაზღვრება. შეკვეთების რაოდენობას ვერ განვსაზღვრავ, ზაფხულში უფრო მეტია დაკვეთა, დროც მეტია და მსურველიც. ზაფხულში 2კვირა მჭირდება დიდი კარის დასამზადებლად. მაქსიმალური დრო სამი კვირა იყო, როდესაც ძალიან დიდი ზომის კარის შეკვეთას ვასრულებდი. მიუხედავად იმისა, რომ რკინასთან მუშაობა დიდ ფიზიკურ შრომას მოითხოვს უკვე აღარაფერია ჩემთვის რთული. არც ყველა ხელსაწყო მაქვს, რომელიც გამიადვილებდა მუშაობას. ახლა რითიც ვმუშაობ, ესაა საღუნო-ფორმას ვადგევ რკინას, რამდენიმე ჩარხიც მაქვს. ყველა ხელსაწყო, თავისი ღირებულებიდან გამომდინარე, არც მაქვს, რომელი დანადგარიც მჭირდება, 30 000 ლარი ღირს, რაც ამ ეტაპზე, ჩემთვის არაა ხელმისაწვდომი. თუმცა, მაინც გაფართოებაზე ვფიქრობ, გაზაფხულიდან მინდა მიწის ნაკვეთის შექმნა, შენობის აშენება, უკეთესი პირობების მოწყობა. სტრატეგიულადაც უფრო მომგებიანი ადგილი, რომ მოსვლა არ გაუჭირდეს კლიენტს. ბევრმა დაიწყო უკვე რკინის ნაკეთობების დამზადება, კონკურენციამაც იმატა, დამკვეთს კარგი, დროული, იაფი და ხარისხიანი მომსახურება უნდა შესთავაზო, რაც მარტო ერთი ადამიანისთვის, რთულია. ვფიქრობ ახალი სახელოსნო და ხელსაწყოები, ამის შესაძლებლობას მომცემს.



თ. ჯავახიშვილი

### - სოფლის მეურნეობა - ფერმერები აბრძობაშია ხელშეწყობის ახალ პროგრამებს ეხმარებიან

უკანასკნელ წლებში მართლაც ბევრი რამ კეთდება სოფლის მეურნეობის აღორძინებისა და წინსვლისთვის. მთავრობის მიზანდასახულმა მოქმედებამ შედეგიც გამოიღო და ყველა თვალნათლივ ხედავს, სოფლის მეურნეობა, რომელიც 5-6 წლის წინ, ფაქტობრივად, მკვდარი იყო, ნელ-ნელა ძალას იკრებს და საქართველოს ბაზარზე ქართული პროდუქტია ადვილს იმკვიდრებს.

ამ დღეებში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის ორგანიზებით, მუნიციპალიტეტში მოქმედი ფერმერები და კოოპერატივების წარმომადგენლები ახალ პროექტს გაეცნენ. ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში მათ პროექტის მენეჯერი ეკა გურგენიძე და პროექტების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი თორნიკე ლათათია შეხვდნენ. „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია, ბაზარზე წვდომა და მოქნილობა“ - ასე ჰქვია ახალ პროექტს, რომელიც მათ შეკრებილებს გააცნეს. პროგრამა ფინანსდება სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) და გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF) მიერ. პროგრამა ინიცირებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. მას ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს.

პროგრამის მიზანია პირველადი წარმოების პროდუქტის ხარისხისა და მოსავლიანობის ზრდის, არსებული ბალების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების ხელშეწყობა და საერთაშორისო სტანდარტების და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა.

პროგრამის ფარგლებში, ინდივიდუალური ფერმერებისთვის თანადაფინანსება განისაზღვრება 15 ათასი აშშ დოლარით. იგივეა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის თითოეულ მეპაიეზე გადაანგარიშებით, მაგრამ არაუმეტეს 150 ათასი აშშ დოლარისა.

სტუმრებმა ფერმერებს გააცნეს თანადაფინანსების მისაღებად საჭირო

წარსადგენი დოკუმენტაცია. დეტალურად ახსენს, თუ როგორ უნდა მოხდეს განაცხადის შევსება. ასევე უპასუხეს მრავალ შეკითხვას.



შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ვფიქრობთ, ჩვენი მუნიციპალიტეტიდან ამ პროგრამის ბევრი თანამონაწილე ფერმერი გვეყოლება, რაც, თავისთავად, კიდევ უფრო გაზრდის მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის წილს.

2017 წელი რამდენიმე უმნიშვნელოვანესი თარიღით გამოირჩევა, რომელიც სრულიად საქართველოს მიერ საჭიროებს აღნიშვნას და საზოგადოების შემეცნებას. პირველ რიგში, ესაა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის აღდგენიდან მე-100 წელი, რომელიც 25 მარტს შესრულდება, ხოლო მეორე მნიშვნელოვანი თარიღი ესაა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრებიდან მე-40 წელი, ეს თარიღი კი 2017 წლის 25 დეკემბერს დადგება.

წლების მანძილზე, ხაშურის მუნიციპალიტეტი ეხმარებოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის, ქართული კულტურისათვის მნიშვნელოვანი თარიღების აღნიშვნას, ამჯერადაც, არ ჩამოვრჩით ეპოქათა ტრადიციას და ხაშურელმა ახალგაზრდებმა საკუთარ თავზე ავიღეთ ამ წლის დიდი თარიღების ღირსეულად აღნიშვნის ვალდებულება. ეს ღონისძიებები იანვრის თვიდან დაიწყო. 30 იანვარს, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში, შედგა საჯარო ლექცია-დისკუსია თემაზე: „საქართველოს ეკლესიის ისტორია და საზოგადოებრივი აზრი“. ღონისძიებაზე დამსწრეთა შორის იყვნენ ხაშურელი მოსწავლეები, სტუდენტები, ბიბლიოთეკის, მუზეუმის თანამშრომლები, აგრეთვე, ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წამრომადგენლები, პედაგოგები. დამსწრეებმა შეაფასეს საქართველოს ეკლესიის ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხები და მზადდებოდნენ გამოთქვას, რომ ჩაერთვებიან შემდგომ ღონისძიებებში.



ამ საიუბილეო თარიღების ერთგვარი გამოძახილია 1 თებერვალს, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოწოდებული ფოტო-ექსპოზიცია „საგანძურ“, რომლის ავტორმა, მიაა ჯამბაზიშვილმა, განაცხადა, რომ ფოტოგამოფენა პატრიარქის ღვთაებრივ მოგზაურობას და მისი დევიზია „ვიცოდეთ რისი პატრონები ვართ“. ასე ეხმარება და იწყებს ხაშური საიუბილეო თარიღების აღნიშვნას.

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია საუკუნეთა მანძილზე ვითარდებოდა და მრავალი ქართველის წინაშე მდგარა, რომელსაც ზოგჯერ შეურყეველი, ზოგჯერ კი გაუძლიერებია დედაეკლესიის მკვიდრი შენობა. ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში, საქართველოს ტერიტორიაზე იქადაგეს ქრისტიანობა ქრისტეს მოციქულებმა: ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა, მატათამ. მათ გარკვეული საძირკველი მოამზადეს ერის შემდგომი გაქრისტიანებისათვის. IV საუკუნეში ქართლში მოციქულთაწორი, ქართველთა განმანათლებელი დედა – წმიდა ნინო გამოჩნდა, რომელიც ვაზის ჯვრით შემოვიდა ქართლში და ქრისტეს სჯულზე მოაქცია ქართველები. ამის შემდგომ, მეფე მირიანის მიერ, საქართველოს სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა გამოცხადდა, მაგრამ ავტოკეფალიის მოპოვება მხოლოდ V საუკუნეში, მეფე ვახტანგ გორგასლის დროს მოხერხდა, როცა ეკლესიას სათავეში კათალიკოსი ჩაუდგა. აქედან იწყება ჩვენი ეკლესიის თავისთავადობა (ავტოკეფალია) და ქართული კულტურის განვითარება ქრისტიანობის წიაღში. საქართველოს გაერთიანებისთანავე (X საუკუნე), გაძლიერდა საქართველოს სახელმწიფოებრიობა, შესაბამისად, საქართველოს ეკლესიაც, მაგრამ XI საუკუნეში მოხდა სქიზმა (გაყოფა) აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანებს შორის. საქართველო ბიზანტიური კულტურის ორბიტაზე დარჩა, თუმცა, დიდი ლოკალური ქრისტიანული კულტურით. 1453 წელს დაეცა კონსტანტინეპოლი, ბიზანტიის დედაქალაქი და საქართველო მუსლიმურ რეალში მოექცა, კონსტანტინეპოლის მემკვიდრის, ანუ „მესამე რომის“ სტატუსი კი რუსეთის ახლადკონსოლიდირებულმა სახელმწიფომ იკისრა, რაც ისტორიულად, ცხადია, საქართველოს ეკუთვნოდა. XVIII საუკუნის ბოლოს ქართული სახელმწიფოებრიობა

საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ქვეყანამ ვერ გაუძლო გლობალურ ქართველებს, მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებს, ჭიდილს ირანთან, ოსმალეთთან, რუსეთთან და ერთმურწმუნეობის ნიღბით დაფარული რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში აღმოჩნდა, მას შემდეგ, რაც 1783 წლის 24 ივლისს დაიდო „გეორგიევსკის ტრაქტატი“. მცხეთის უძველესი საკათალიკოსო კათედრალი რუსეთის სინოდის შემადგონლობაში მოექცა, რომელსაც 1700 წლიდან აღარ ჰყავდა პატრიარქი და ობერპროკურორი მართავდა. კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ს ღირსება იმითაც შეუღალა, რომ გაუტოლეს რუს სასულიერო პირებს, რომელთაც მისი რანგის სასულიერო პირი დიდი ხანია აღარ ჰყავდათ. იგი რუსეთის ეკლესიის წმიდა სინოდში მე-8 ადგილას აღმოჩნდა, ტოპოლსკის არქიეპისკოპოსის შემდეგ. 1788 წელს იგი გარდაიცვალა და მცხეთის საკათალიკოსო კათედრაზე ერეკლე II-ის ძე, ანტონ II – ავიდა. სწორედ მის დროს, 1801 წელს, მოხდა რუსეთის იმპერატორის – ალექსანდრე I-ის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება, შემდგომ საეკლესიო ქონების აღწერა და ეკლესიის შევიწროვება, რაც 1811 წელს სრულიად უკანონოდ ავტოკეფალიის გაუქმებით დასრულდა. ამიერიდან საქართველოს ეკლესიას რუსი ეგზარქოსები ედგნენ სათავეში და ერთადერთი დიდი პროტესტი მათი ანტიქართული საქმიანობის მიმართ იყო დიმიტრი ყიფიანის მიერ მიხაილოვოდან (ხაშურიდან) გაგზავნილი წერილი ეგზარქოს პავლე ლებედევისადმი. ეგზარქოსმა დაწვევდა საქართველო და ქართველები, ხოლო დიმიტრი ყიფიანმა მას ბოდიშის მოხდა მოსთხოვა, რასაც პასუხად ჯერ სტავროპოლში გადასახლება, შემდგომ მკვლელობა მოჰყვა. დიმიტრი ყიფიანის სამშობლოში ჩამოსვენებისა და დაკრძალვის პროცესია კი ეროვნული ცნობიერების გაღვივება იყო, რასაც მალე მოჰყვა კიდევ შედეგი. ქართველთა შორის დაიწყო ეროვნული მოძრაობის გააქტიურება, მათ შორის, საქართველოს ეკლესიის წიაღში მოღვაწე სასულიერო პირების მიერ. ამ პროცესებს დაემთხვა რუსეთის იმპერიაში მიმდინარე რევოლუციები და მეფის ხელისუფლების დამხობა, რითაც საქართველომ ისარგებლა და 1917 წლის 25 მარტს ეკლესიის ავტოკეფალია გამოაცხადა, ხოლო კათალიკოს-პატრიარქად არჩეულ იქნა კირიონ II (საბაგლიშვილი). ამ ისტორიული და დიდი მოვლენიდან ავტოკეფალია 100 წელი სრულდება და არანაკლებ რთული გზა განვლო საქართველოს ეკლესიამ საბჭოთა აგრესიული ათეისტური რეჟიმის პირობებში, რაზეც აუცილებლად საჭიროა იცოდეს ფართო საზოგადოებამ.

რაც შეეხება მეორე დიდი თარიღს – კათალიკოს-პატრიარქის აღსაყდრებიდან მე-40 საიუბილეო წელს, ეს იყო XX საუკუნეში ტანჯული საქართველოსთვის სრულიად ახალი მოვლენა, რომელსაც უნდა დაესრულებინა საქართველოს ეკლესიის ტანჯვა-წამება. 1977 წლის ნოემბერში გარდაიცვალა უწმიდესი და უნეტარესი დავით V (დევედარიანი), ამავე წლის 23 დეკემბერს, კათალიკოს-პატრიარქად მიტროპოლიტ ილიას (შილაღაშვილი) გამორჩევა, ხოლო 25 დეკემბერს, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში, მისი აღსაყდრება მოხდა სრულიად საქართველოს-კათალიკოს პატრიარქად ილია II-ის სახელით. მისი მოღვაწეობის გვირგვინია, 1990 წელს, მსოფლიო საპატრიარქოს მიერ, V საუკუნიდან მოყოლებული საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება. ამიერიდან, გაეხსნა გზა ქართულ ეკლესიას, რათა ემწვემსა მსოფლიოში გაბნეული ქართული სამწყსო, ჰქონოდა ურთიერთობა სხვა აღმოსავლეთის ეკლესიებთან. უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მოღვაწეობა გამოირჩევა მისი დიპლომატიით და მეგობრული ურთიერთობებით რომის კათოლიკურ ეკლესიასთან, სომხურ სამოციქულო ეკლესიასთან, ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან, ამიერკავკასიის მუსლიმებთან. პატრიარქი ყოველთვის იჩენდა დიდ ტოლერანტობას სხვადასხვა რელიგიების მიმართ, ჰქონდა არაერთი ვიზიტი საზღვარგარეთ და შეხვედრია მრავალ სახელმწიფო ლიდერს, ისევე, როგორც ისინი სტუმრებიან უწმიდესს. პატრიარქი, გარდა მისი რელიგიური და სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა, გამორჩევა შემოქმედებითი საქმიანობით, წერს საგალობლებს, არის ხატმწერი, აქვს შექმნილი სკულპტურული ნამუშევრები. მისი პატრიარქობის პერიოდში, მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტი და დაკეტილი ეკლესია-მონასტრებიდან, განდევნილი სასულიერო პირებიდან დღეს სახეზეა 47 ეპარქია და მათ შორის ეპარქიები საქართველოს საზღვრებს გარეთ, სახეზე გვაქვს სასულიერო სემინარია და აკადემია, საპატრიარქოს უნივერსიტეტი, გეგლიანის აკადემია და სხვა საგანმანათლებლო კერები. სწორედ ამ და სხვა დიდი მოვლენებით გამოირჩევა ეს განვლილი 40 წელი და ვულოცავთ მის უწმიდესობასა და უნეტარესობას ამ საიუბილეო თარიღს და ვიმედოვნებთ, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტი და სრულიად საქართველო კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთვება ამ საიუბილეო ღონისძიებების უფრო მასშტაბურად აღნიშვნაში.

გიორგი ჩუბინიძე,  
წმინდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის უნივერსიტეტის ისტორიის  
მიმართულების სტუდენტი

### ბაბუა გენაცვალოთ, შვილებო!

ჩემთვის არც ხაშურული ზამთარია უცხო და არც ხაშურელთა ხასიათი და ხნე-ჩვეულება. ამას რატომ ვუსვამ ხაზს, ქვემოთ მიხვდებით. ამ ორიოდ დღის წინ, სოფლიდან შვილებთან ჩამოვედი. სამარშრუტო ტაქსი რკინიგზის ვაგზალზე დაიცალა და მეც იქ აღმოვჩნდი. რუსთაველის ქუჩაზე გამოვედი, ახლადგამომცხვარ პურის სასიამოვნო სუნი ვიგრძენი და საცხობისკენ გავწვი. პატარა რიგში ადგილი დავიკავე. ჩემი რიგი რომ მოვიდა ჯობეში ჩავიყავი ხელი, მუჭში ხურდა ფულის სიმძიმე ვიგრძენი. - ერთი ცხელი პური, ქალბატონო, - მივმართე გამყიდველს და მუჭით ხურდა ფული გავწვი. თან ვთხოვე, რადგან მხედველობის პრობლემა მაქვს, მითვალეთ ეს ჩემი ხურდა ფული, მე არ დამითვლია და მეშინია არ შევრცხვე-მეთქი. - ბაბუ, ამ ფულით ერთი პური არ მოგივათ, 20 თეთრი აკლია, - მითხრა და ჩემმა ხურდა ფულმა მისი მუჭიდან, ისევე ჩემს მუჭაში გადმოინაცვლა. ხურდა სასწრაფოდ ჩავიყარე ჯობეში და საცხობის „ფორთოქას“ სასწრაფოდ მოვშორდი. მერე მეორე ჯობეში ჩავიყე ხელი, ხურდა ფული იქაც აღმომაჩნდა, მაგრამ უკან მიბრუნება დამეხარა და გზა ტაბათით გავაგრძელე. განვლილი არ მქონდა ათამდე ნაბიჯი, რომ აქეთ-იქიდან ორი მაყვალთვალემა გოგონა ამომიღვა და მოკრძალებითა და დიდი მორიდებით 20-20 თეთრიანები გამომი

წოდეს და ხმადაბლა ყურში ჩამწურწმუნეს, - ბაბუ არ გეწვიოს, უხერხულად არ იგრძნოთ თავი. ჩათვალეთ, რომ ჩვენ თქვენი შვილიშვილები ვართ, პოდა, ეს ჩვენი დღევანდელი დანაზოგი თქვენთვის მოვიერთმევი...  
ბავშვების ასეთმა სიკეთემ და ყურადღებამ ისე დამაბნია, რომ მათ მადლობაც კი ვერ გადავუხადე. ცრემლიანი თვალები და ლოცვა-კურთხევა გავაყოლე, ისინი კი პაუზიდან კონკრეტულ მიზანს მიზანდინდენ, ხელს მიქნევდნენ, ბაბუ, მაგრად იყავი, კიდევ მოგინახულებთო, მომამახეს და უცხო კედრაჭები ხალხში გაუჩინარდნენ.  
- ღმერთო, შენ მოამრავლე ჩემს მამულში ასეთი შვილები, გენაცვალოთ უცნობი ბაბუ! ბედნიერია ერი და ქვეყანა, სადაც ასეთი შვილები იბადებიან და იხრდებიან. მათმა მშობლებმა უნდა თქვან, რომ შვილები ჰყავთ, რომ მამულის წინაშე ვალს წმინდად იხდიან. ეს ბავშვები და მათი მშობლები ჩვენი დროის გმირები არიან...  
ასეთ ფიქრებში ვიყავი ჩადირობი, ჩემს ცელოვანში ცხელი პური ჩასრილდა. პურმა ხელი გამითბო, იმ გოგონების საქციელმა კი სული და გული. ამ კედრაჭებმა, ასე გამოხატეს ხანდაზმული ადამიანისადმი თავიანთი პატივისცემა და სიყვარული. ღმერთო, მოამრავლე ასეთი შვილები ჩემს ბედლამწვარ მამულში.  
ბაბუა გენაცვალოთ, შვილებო!

# „ხაშურის მისტერია“ გამოსახილად მგადაა

„ხაშურის მისტერია“, ასე ჰქვია მურად მთვარელიძის ახალ წიგნს, რომელსაც, ალბათ, სულ მალე იხილავს მკითხველი. თითქმის 30 წელი მუშაობდა ავტორი ამ წიგნზე და პროზად ქცეული პოეზიის საოცარი ნაზავი მივიღეთ. ათას გვერდამდე მოცულობის ნაწარმოების ჩვენს გაზეთში დაბეჭდვა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, და დღეს მხოლოდ რამდენიმე ამონარიდს შევთავაზებთ მკითხველს. ვფიქრობთ, ამ ამონარიდებიდანაც კარგად გამოჩნდება თუ რამდენად საინტერესო იქნება მთელი წიგნი, რომელიც, პრაქტიკულად, პოეზიის ენით თქმული ჩვენი რაიონის უახლოესი ისტორიაა.

რკინიგზა – ხაშურის სახე და იერი,  
რკინიგზა – ხაშურის ემბლემა,  
თუ ხაშურელი ხარ, შენ ხარ რკინიგზელიც,  
ეს ყველას თანაბრად ერგება.

მაშ, თვალი გაუფოროთ ქალაქის ისტორიას,  
ხელიდან ხელში რომ ირწყვას,  
ხაშურის რკინიგზა ჯერ კიდევ  
მიხაილოვოდან იწყება.

იმ დღე ვაგონებით ვინ არ ჩამოსულა,  
ხაშურის სადგური ჰკრავდა საქართველოს,



იმერ-ამიერი, თუ გინდათ სიმართლე,  
სწორედ ხაშურმა უნდა გაამთელოს.

რატომ? მაშ, დაკეცეთ საქართველოს რუკა,  
ოთხად გაკვეციოთ და გაეშალოთ,  
თუ ცენტრში ხაშური არ მოხვდეს წერტილად,  
სათქმელად სიტყვა არ მაცალოთ.

მაგრამ ის ნამდვილი რკინიგზა სულ სხვაა,  
30-იანი წლების დიადემა,  
პირველი ელმაგვლები – რკინიგზის ჯადოქრები,  
წარსული აქ სხვაგვარად ხშიანდება.

რიკოთის უძიმესი უღელტეხილი და  
პირველი ელმაგვლის გრიალი,  
საჭესთან აღექსანდრე საყვარელიცა –  
კაცი ჭეშმარიტად მზიანი,  
ვინც მთელი ცხოვრება რკინიგზას შესწირა  
და ვინც სიკვდილის წინ ინატრა:  
გორათზე დამმარხეთ, რომ ელმაგვლების ხმა  
ჩემს ძვლებს ესმოდეთო ნიადაგ.

დღეს ის ელმაგვლი, კვარცხლბუკზე შემდგარი  
ხაშურის „პერონზე“ კვლავაც დგას,  
მოდით, წუთით მუხლი მოვუყაროთ  
ამ ყველა ელმაგვლის ეშხსა და თამადას.

ასე უძიმესი მატარებლები და  
გზები ურთულესი – სავალი მკაცრი,  
საჭესთან კოლია ტყეშელაშვილი ზის  
– ეს უღამაზესი კაცი.

საჭესთან იღია ბეროზაშვილია,  
მეცნიერს ეძახდნენ მას ზედმეტ სახელად,  
დიდხანს რომ იცოცხლა, ასს მიუახლოვდა,  
ცხოვრებამ ვერასვით გატეხა.

სვიმონ ელისაშვილს და სვიმონ კიკაძეს  
ვისხენებ ამ მართლაც რაინდებს,  
რომ არ უდრკებოდნენ განსაცდელს,  
არ უშინდებოდნენ ამინდებს.  
ანდა ალიოშა მანჯავიძე  
– შრომაში ნაწრობი დენდი,  
ისინი ხაშურის რკინიგზის  
დიად ისტორიას წერდნენ.

გოგი ამაშუკელს, კაცს მართლაც, ნამდვილად  
მხრებით რომ ატარა კაცობის ტვირთი,  
შერჩა სიკვდილამდე მას პატიოსნება

და რკინიგზელობის ტვიფრი.  
ან სვიმონ ბუღაძე – კაცი სანთელივით  
ნათელი, ეს დინჯი ქართველი  
რკინიგზის სიყვარულით ცხოვრობდა ბოლომდე,  
იმის სულს დაადგეს ნათელი.

და კიდევ რამდენი რკინიგზელი:  
ავთანდილ წიგწივაძე – ცნობილი დეაწლით,  
შალიკო ახალკაცი – მუდამ საქმიანი,  
ბიქტორა ზუმბაძე – ეს ფიცხი კაცი.

ვალოდია კიკნაძე, როგორც მუხა ძლიერი  
ისე დააბიჯებდა ის ჩვენ შორის კარგა ხანს,  
წარსულს ეფერებოდა და წარსულს ესიტყვებოდა,  
წარსულიდან გვიყვებოდა ზოგ რაიმეს ხანდახან.

ძმები ლაბაძეები, გახსოვთ ღუტო ლაბაძე?  
კაცი მართლაც უნაკლო და ნამდვილად რჩეული,  
დეპუტატი რამდენჯერ, გამოწვრთნილი რაინდი,  
დადიოდა ხაშურში ის სიღინჯით ჩვეულებით.  
მისი ძმები გოგი და ანდა ძია პლატონი,  
სამნი იყვნენ, სამივე იყვნენ რკინიგზელები,  
დღეს კი შოთა ლაბაძე – ტრადიციის ერთგული  
წარსულსაც და აწმყოსაც თითქოს თავზე ევლებდა.

თავიშვილი მაგონდება, აბუღაძე დათა და  
ანდა ალე კიკაძე, ყველა ვით ჩამოვთვალო,  
იყვნენ პატიოსნები, იყვნენ საქმის ერთგულნი,  
ღმერთო, იმათ ნათელი, მათ ცხოვნება, უფალო.

\*\*\*  
აქვე იყო სავაგომო დეპოც,  
აქვე იყო ვაგონების ამქარი,  
მამანქმი – ზეინკალი უებრო,  
ჩემს რწმენაში გმირთა გმირის მაგვარი.  
მუშაობდა ის დიდიდან დამემდე,  
მძლე იყო და გამოწვრთნილი შრომით,  
რა შორს დარჩა, მე აქედან გავეურებ,  
ყველაფერი არის ახლა შორი.

დეპოს უფროსს – ოტიაშვილს, კეთილ კაცს,  
ჩვენ ვუახხდით ოტიაშვილ პაპას,

სავაგონო დეპო – ჩემი ბავშვობა,  
მე მაგონებს იმ შორეულ ზღაპარს.

ძია გრიშას, დიას, გრიგოლ ბურნაძეს  
ვისხენებ და დროს გავეურებ  
დღეს გაყოფილს ორად,  
რა კაცები იყვნენ, ღმერთო, რაინდები,  
გავახსენებთ აბიაშვილ ქორას.

და შალიკო გურუშიძეს გაგახსენებთ  
და შალიკო ირემაძეს, წიქარიშვილ შაქროს,  
ანდა პაპას, ანდა, ვახტანგ კავთელაშვილს,  
სიტყვით უნდა ღირსეულად ვაქო.

ძია მიტო, პო, დიმიტრი გელაშვილი,  
ეს სიკეთედ მთარული კაცი,  
შრომის ყადრიც იცოდა და მეგობრობაც  
და იცოდა სიყვარულის ფასი.

ეს ყველანი – ძმები ქიტიაშვილები,  
გულში თითქოს მოგონება დვივის,  
უფრო აქეთ დეპოს უფროსს გავისხენებ,  
მართლაც კარგ კაცს – თოფურია გივის.

დრო გავიდა, დრო – ქარიშხლად გარდასული,  
დრო ქარიშხლად, ქარიშხლად და ომაღ,  
ახალგაზრდა იყო მაშინ, ჯერ ჭაბუკი,  
მე ვგულისხმობ ჯაფარაშვილ ვოვას.  
დეპოში რომ მოვიდა და შეაყვარა  
თავი ყველას – პატარას და დიდსაც,  
დღეს ხაშურში რკინიგზას რომ აღამდარობს,  
დიდხანს იყოს მინდა.

სავაგონო დეპო ისევ სავაგონობს,  
მან გაუძლო იმ დროსა და ამ დროს,  
წარსულს ვფურცლავ და ვისხენებ დანანებით,

დეპოს უფროსს - თედიაშვილ ანდროს

დეპოშიც, ისევე როგორც ყველგან, უფროსები მიდიან  
და მოდიან, მაგრამ მათ შორისაც არის კაცი, რომელიც  
ჩემთვის ყოველთვის დარჩება, როგორც სახე მტკიცე ხე-  
ლმძღვანელისა. თქმურ კაკიაშვილი, სულით და სორცით  
ხაშურელი და რკინიგზელი, განგებამ დიდი ტკივილი  
რომ არგუნა..

\*\*\*

ხაშურის შენობა-ნაგებობათა დისტანცია,  
სად მყოფნის ფიქრი და ოცნება,  
რომ სიტყვით შევამკო მე მისი უფროსი  
შალვა რუხაძე – კაცი საოცრება.  
იყო ის სიმბოლო ხაშურის რკინიგზის  
და მემბტიანე ნამდვილი,  
ძია შალიკოზე რაიმეს თქმა  
არ არის, ძვირფასებო, ადვილი.  
მისთვის არსებობდა მიმართვის ფორმა,  
“რკინიგზის ბინების მკვიდრნი”  
იყვნენ მისთვის მხოლოდ მობინადრეები,  
არავითარი რაიმე ჯიბრი.  
მაგრამ ვალოდია მუშაძე ზოგჯერ,  
ან კოპალეიშვილი გრიშა,  
ვინმეზე რაიმეს დაიხივლებდნენ  
უკმაყოფილების ნიშნად.  
გამოიძახებდა ძია შალიკო და  
იყო დიალოგი მსგავსი:  
– მობინადრე ტატიშვილო !  
კედელი ჩამოიდე?  
არ ვარგა, რა თქმა უნდა, ასე!  
ხვალვე ააშენე ახალი კედელი,  
რად გინდა ამდენა ოთახი?!  
მობ. ტატიშვილი კი ამ დროს იწურება,  
დაკარგა სიმხნევე და ომახი.  
– იცი, ძია შალვა, რისი გულისათვის  
გავაერთიანე ოთახი ორი?  
მინდოდა მქონოდა პატარა დარბაზი,  
კონცერტებს გავმართავდი, არა თუ მდორეს.  
– კონცერტებს?  
ჩუმად იცინის ძია შალვა,  
კონცერტებს,  
ყურადღებას ამ სიტყვას აქცევს,  
– კაი, მობინადრე, გამართე კონცერტები,  
არ გამოიტოვო არც მე.

\*\*\*

და კიდევ რანდენი რკინიგზის ობიექტი,  
ენე, სენე და პენე და მრავალი,  
ყველა რკინიგზის პირს,  
ყველა ერთ უბანში და  
რკინიგზელების ამაღა.

ასე იქმნებოდა რკინიგზელი ოჯახების დინასტიები:  
სახვაძეები და ჭყოიძეები, ბეროზაშვილები და ქვირიე-  
ბი, თავიშვილები და ჭუბაბრიები, დერევიანეკოები და  
კიკაძეები, ცერიაშვილები და მანჯავიძეები, ბუღაძეე-  
ბი და ელისაშვილები, ამაშუკელები და წიგწივაძეები –  
მართლაც საოცარი ოჯახები, რკინიგზელთ უბნის მშვენ-  
ება და საძირკველი

შალიკო სახვაძე – მთავარი ბუღალტერი,  
მისი რიდი გეჭონდა მეზობლის ბავშვებს,  
უნდა გამოვიხმო კვლავ მოგონებები,  
ნეტავ მახსოვრობის წყარო არ დაშრეს.  
მკაცრი კაცი იყო, თუმცა სამართლიანი,  
არ ჰყავდა ამიტომ მტერი,  
დღეს ამ ოჯახის აგრძელებს ტრადიციას  
მისი ასული – მამიდა მერი.

ჭყოიძეები - ნონე და აკაკი,  
აკაკიმ რა სიმღერა იცოდა?!  
ჩუმი კაცი იყო, ჩუმი და ჭკვიანი,  
ჩუმად სანთელივით იწვოდა.  
დეპოში მუშაობს კვლავ გურამ ჭყოიძე,  
კაცი სანაქებო და მზიანი,  
ხოლო ლაქვარდებში დაფრინავს ლაღად,  
სიყრმის ამხანაგი, ჩემი მირიანი.

- მწეხადი და საზოგადოება -  
დათო ცურაშვიდი - ხაშურში

8 თებერვალს, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის სტუმარი იყო მწერალი და პუბლიცისტი დათო ცურაშვიდი. იგი მრავალი ცნობილი წიგნის ავტორია, მაგრამ ამჯერად აუდიტორიას ოთხი წიგნი წარუდგინა: „სხვა ამსტერდამი“, ტყეების მეფე“, „ჯინსების თაობა“ და „მე ვარ დიეგო“.

გულახდილად საუბრობს ნარკოტიკებზე, პოლიტიკაზე, არგენტინასა და ფეხბურთზე, წიგნი გამოსვლის დღიდანვე იქცა ბესტსელერად. მწერალთან შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, დათო ცურაშვილმა ხაშურთან დაკავშირებითაც ბევრი საინტერესო ამბავი გაიხსენა.



„სხვა ამსტერდამი“ მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ამბებისა და მწერლის პოლანდიური შთაბეჭდილებების ნაკრებია. „ტყეების მეფე“- დავით აღმაშენებელზე ლექსებს ეძღვნება, ცნობილი ნაწარმოებები „ჯინსების თაობა“ 1983 წელს მომხდარ თვითმფრინავის გატაცებაზე მოგვითხრობს. „მე ვარ დიეგო“- დიეგო მარადონას ავტობიოგრაფიული წიგნია, რომელიც დათო ცურაშვილმა თარგმნა. წიგნში მარადონას

სო ამბავი გაიხსენა. შეხვედრას უძღვებოდა ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნინო კიკნაძე. მან მადლობა გადაუხადა მწერალს ხაშურში ჩამობრძანებისთვის და ასევე, დიდი მადლობა გადაუხადა რაიონის გამგებელს გიორგი გურასაშვილს დონისძიებების ხელშეწყობისთვის. შეხვედრის ბოლოს გაიმართა დათო ცურაშვილის წიგნების გამოფენა-გაყიდვა.

- ძიუდო -  
ლაშა ჩადუნელი საქართველოს ჩემპიონია

ჭიდაობა ჩვენს მუნიციპალიტეტში განვითარებული სპორტის სახეობებს შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია და მისი წარმომადგენლები ხშირად გვეხვებიან სხვადასხვა წარმატებით. ასე იყო ამჯერადაც. თბილისში, ახლახანს დამთავრებულ საქართველოს პირველობაზე, ჩვენმა ძიუდოისტმა ლაშა ჩადუნელმა (მწვრთნელები: ბ. ხარშილაძე, ო. ლომიძე) ოქროს მედალი და საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.



მართალია ჩემპიონატში ნაკრების პირველი ნომრები არ მონაწილეობდნენ, მაგრამ ეს სრულებითაც არ აკნინებს ლაშას წარმატებას. სხვათაშორის, ფინალში (60კგ.) ლაშას მეტოქე ასევე ჩვენი მუნიციპალიტეტის წარგზავნილი თემურ ნოზაძე იყო, რომელსაც ვერცხლის მედალი ერგო. აღსანიშნავია, რომ ლაშა ნაკრების მწვრთნელების თვალთახედვის არეშია და არაა გამორიცხული, უახლოეს პერიოდში მან ნაკრების სახელითაც იასპარეზოს სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებზე.

ფოლკლორული მუსიკის  
საღამომ  
მსმენელი ალაფროთოვანა

ხაშურის სამუნიციპალიტეტის საკონცერტო დარბაზში გოგი შუბითიძის ხელმძღვანელობით, ფოლკლორული მუსიკის კონცერტი გაიმართა. სხვადასხვა საგუნდო კოლექტივებმა მსმენელს ძველი და ახალი საკონცერტო ნომრები წარმოუდგინეს. შესრულდა რამდენიმე საგალობელიც. კონცერტს ესწრებოდნენ გამგებების და საკრებულოს წარმომადგენლები, ანსამბლის წევრთა მშობლები და ფოლკლორული მუსიკის მოყვარულები. გოგი შუბითიძე მართლაც უდიდეს საქმეს აკეთებს. ეს ხელოვანი წლებია ქართული ფოლკლორის სამსახურშია და მისი დამსახურება დიდია, რომ დღეს, ჩვენს მუნიციპალიტეტში, ასეულობით მოზარდია შეყვარებული ქართული მუსიკის ამ საგანძურზე. დონისძიების მხარდამჭერი იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა.



ქვიშეთის  
აღდგომის  
სახელობის  
დედათა  
მონასტერი

„ხაშურის მოამბის“ რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს გუცხადებთ ზურაბ ცუცქერიძეს, შვილის, ლევანის გარდაცვალების გამო.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით იუწყება და სამძიმარს უცხადებს ბატონ ზურაბ ცუცქერიძეს და ქალბატონ ლია ძიგუას შვილის - ლევან ცუცქერიძის გარდაცვალების გამო.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499. **შ**-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.